

საქართველოს მთავრობის

განკარგულება №2328

2019 წლის 12 ნოემბერი

ქ. თბილისი

**მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თაობაზე**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოწონებულ იქნეს თანდართული „მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი“.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი გახარია





## მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი

### შესავალი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში – გაერო) გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო A/RES/70/1 რეზოლუცია<sup>1</sup> – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომლის განუყოფელი ნაწილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა“. 2017 წლის 6 ივლისს კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის A/RES/71/313 რეზოლუციით დადგინდა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორთა ჩამონათვალი<sup>2</sup>. მდგრადი განვითარების მიზნები მსოფლიოს გარშემო აერთიანებს ქვეყნების ხელისუფლებებსა და მოსახლეობას შემდეგი ღირსეული ამოცანების შესასრულებლად: სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება, თანასწორობის ხელშეწყობა, ქალაქების მდგრადობა, კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა, ოკეანეებისა და ტყეების დაცვა, ყველა დონეზე ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები წარმოადგენს ათასწლეულის განვითარების მიზნების ლოგიკურ გაგრძელებას, რომელთა შესრულების ვადა 2000 – 2015 წლების პერიოდს მოიცავდა. 2015 წელს, ამ მიზნების შესრულების ვადის დასასრულს, გაეროს ათასწლეულის მიზნები გარდაიქმნა უფრო ყოვლისმომცველ – მდგრადი განვითარების მიზნებად. 2015 წელს საქართველომ, გაეროს ყველა სხვა წევრ ქვეყანასთან ერთად, გამოთქვა სურვილი, განეხორციელებინა 2030 წლისთვის დასახული მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები.

2016 წელს, საქართველომ, ერთ-ერთმა პირველმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნებიდან, მდგრადი განვითარების შესახებ გაეროს მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე (High Level Political Forum-HLPF) წარადგინა პირველი ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის (VNR)<sup>3</sup> ამსახველი ანგარიში.

### გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზანი

<sup>1</sup> <https://undocs.org/A/RES/70/1>

<sup>2</sup> <https://undocs.org/A/RES/71/313>

<sup>3</sup> <https://sustainabledevelopment.un.org/memberstates/georgia>

**მიზანი 1:** სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

**მიზანი 2:** შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.

**მიზანი 3:** ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

**მიზანი 4:** ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის.

**მიზანი 5:** გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება.

**მიზანი 6:** წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა.

**მიზანი 7:** ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა.

**მიზანი 8:** სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის.

**მიზანი 9:** მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.

**მიზანი 10:** უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის.

**მიზანი 11:** ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

**მიზანი 12:** მდგრადი მოხმარება და წარმოება.

**მიზანი 13:** კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება.

**მიზანი 14:** ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის.

**მიზანი 15:** ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და ხელშეწყობა, ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების დანაკარგების შეჩერება.


**მიზანი 16:** მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.

**მიზანი 17:** პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

## მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციისა და კოორდინაციის პროცესი

2015 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას დაევალა მაღალ პოლიტიკურ დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესის ხელმძღვანელობა და კოორდინაცია. ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, ქვეყნის გამოწვევებისა და ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, გაეროს მდგრადი განვითარების **17-ივე მიზანი** და **93 ამოცანა** განისაზღვრა ეროვნულ პრიორიტეტად. ნაციონალიზაციის პროცესში ჩართული იყო ყველა შესაბამისი სამთავრობო უწყება, საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოები და სამოქალაქო საზოგადოება.

მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი მომზადდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ, რომელიც სრულად ეყრდნობა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრის A/RES/70/1 და 2017 წლის 7 ივლისის A/RES/71/313 რეზოლუციებს. მისი კომპლექსურობის გათვალისწინებით, სამთავრობო, არასამთავრობო, კერძო, აკადემიური და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მჭიდრო თანამშრომლობისა და აქტიური მუშაობის შედეგად, თითოეული სექტორული ამოცანის შესრულება გაიწერა დროში და დადგინდა **201 ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები (2030 წლისთვის)**. აღნიშნული მიდგომა უნიკალური შესაძლებლობაა მომავალში პროგრესის გაზომვისა და მიზნის შესრულების შეფასების კუთხით, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია მტკიცებულებებითა და ინფორმაციით გამყარებული ეროვნული განვითარების სტრატეგიისა და სექტორული



■ მიზანი ■ ამოცანა ■ ინდიკატორი

პოლიტიკის შემუშავებისთვის.

მთავრობის მიერ მომდევნო წლებში დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობებისა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების თანხვედრის დადგენის მიზნით, განისაზღვრა ურთიერთკავშირი შიდა პოლიტიკის დოკუმენტებსა და მიზნებს შორის. დოკუმენტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნა მთავრობის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები.

მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი თანაზომიერად ეხება მდგრადი განვითარების 3 განზომილებას – ეკონომიკურს, სოციალურსა და გარემოსდაცვითს და წარმოადგენს იმ მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების ეროვნულ განსაზღვრებას, რომლის შესაბამისადაც საქართველო უზრუნველყოფს ეროვნული და სექტორული პოლიტიკის დაგეგმვას 2030 წლამდე.

დოკუმენტი ასევე ქმნის მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და საერთაშორისო პარტნიორების გამჭვირვალე თანამონაწილეობისა და თანამშრომლობის უნიკალურ შესაძლებლობას ქვეყანაში არსებული გამოწვევების დასაძლევად.

## მიზანი

მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი წარმოაჩენს გაეროს გლობალური მდგრადი განვითარების მიზნების პრიორიტეტებს ეროვნულ დონეზე, რომლის მიზანია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ეროვნული პოლიტიკის დანერგვა 2030 დღის წესრიგის შესაბამისად.

## მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგი

მიზნების დანერგვისა და მათი შესრულების მონიტორინგის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ქმნის **მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს** და განსაზღვრავს მის შემადგენლობას. საბჭოს ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი. საბჭოს ქვეშ შექმნილია **4 თემატური სამუშაო ჯგუფი**: სოციალური ჩართულობა; ეკონომიკური განვითარება; მდგრადი ენერჯეტიკა და გარემოს დაცვა; დემოკრატიული მმართველობა. მათ მუშაობას ანალიტიკურ და ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს სამდივნო, რომლის ფუნქცია შეთავსებული აქვს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტს. საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე საჯარო, სამოქალაქო, საერთაშორისო, აკადემიური და კერძო სექტორებიდან.

SDGs განხორციელების მონიტორინგს ახორციელებს სამდივნო ამ მიზნისთვის შექმნილი სპეციალური ელექტრონული სისტემის მეშვეობით – <http://sdg.gov.ge>, რომელშიც ჩართულნი არიან SDGs ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

- საქართველოს გენერალური პროკურატურა;
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია;
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;
- სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო;
- სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

SDGs მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის თებერვლის დასაწყისში. მონიტორინგის სისტემაში ჩართულ უწყებებს აქვთ 1-თვიანი ვადა, სისტემის მეშვეობით ანგარიშგება მოახდინონ სამდივნოს წინაშე. ყოველწლიური ანგარიში წარედგინება მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოსა და თემატურ სამუშაო ჯგუფებს.

მონიტორინგი მიზნად ისახავს ამოცანების შესრულების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, გრძელვადიან პერსპექტივაში სექტორული პოლიტიკის განვითარების ტენდენციების განსაზღვრას, გამოწვევების დადგენასა და შესაძლო ჩარევის სფეროების იდენტიფიცირებას. მონიტორინგის პროცესი ასევე გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას.

ელექტრონული სისტემის მეშვეობით მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების შესახებ ყოველწლიური ანგარიშგება მოხდება შემდეგი სტატუსების მინიჭებით:

№	სტატუსი	პროგრესის შესაბამისად
1	არ დაწყებულა	0%
2	მიმდინარე – ნაწილობრივ შესრულდა	1%-50%
3	მიმდინარე – მეტწილად შესრულდა	51%-99%
4	განხორციელდა	100%
5	განხორციელდა დაგვიანებით	100%
6	გაუქმებულია	0%-99%
7	შეჩერებულია	0%-99%

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ ქვეყნის ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის (VNR) ანგარიში მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმს (HLPF) წარედგინება 4 წელიწადში ერთხელ. ასევე საბოლოო ანგარიში შემუშავდება 2030 წელს.

## მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის ტერმინთა განმარტება

მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის ეროვნულ დოკუმენტში  
გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1. მიზანი:** 2015 წლის 25 სექტემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის A/RES/70/1 რეზოლუციით მიღებული 2030 წლისთვის განსაზღვრული მიზანი  
[http://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A\\_RES\\_70\\_1\\_E.pdf](http://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_70_1_E.pdf);
- 2. გლობალური ამოცანა:** 2015 წლის 25 სექტემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის A/RES/70/1 რეზოლუციით განსაზღვრული ამოცანა  
[http://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A\\_RES\\_70\\_1\\_E.pdf](http://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_70_1_E.pdf);
- 3. საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანა:** (i) ეროვნულ დონეზე, არსებული გამოწვევებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით ადაპტირებული გლობალური ამოცანა; (ii) გლობალური ამოცანის იდენტური ამოცანა; (iii) ახალი/დამატებითი ამოცანა;
- 4. გლობალური ინდიკატორი:** 2017 წლის 6 ივლისის გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის A/RES/71/313 რეზოლუციის დანართით განსაზღვრული ინდიკატორი <https://undocs.org/A/RES/71/313>;
- 5. საქართველოსთვის მისადაგებული/ეროვნული ინდიკატორი და სამიზნე მაჩვენებელი-მიზანი 2030:** რაოდენობრივი ან თვისებრივი, ეროვნული ან გლობალურის იდენტური ინდიკატორი, რომელიც ზომავს საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანის პროგრესს 2020/2030 წლისთვის;
- 6. საქართველოსთვის მისადაგებული/ეროვნული ინდიკატორი და საბაზისო მაჩვენებელი:** ინდიკატორი, რომელიც ასახავს სტატისტიკურ სურათს 2014-2019 წლების მდგომარეობით;
- 7. მონაცემთა წყარო:** წყარო, სადაც მოიპოვება ინდიკატორებში მოცემული მონაცემები და მოწმდება დოკუმენტში წარმოდგენილი სტატისტიკის სიზუსტე და პროგრესი (საქსტატი; ადმინისტრაციული მონაცემები; საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევები);
- 8. წამყვანი უწყება:** (i) ამოცანის შესრულებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი უწყება; (ii) ამოცანის შესრულებაში ჩართული/ნაწილობრივ ჩართული ანგარიშვალდებული უწყება.

გლობალური ამოცანა	საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანა	გლობალური ინდიკატორი	საქართველოსთვის მისადაგებული/ეროვნული ინდიკატორი და სამიზნე მაჩვენებელი	საქართველოსთვის მისადაგებული/ეროვნული ინდიკატორი და საბაზისო მაჩვენებელი	მონაცემთა წყარო	წამყვანი უწყება
<b>მიზანი 1. სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა</b>						
1.1 2030 წლისთვის ყველაგან ყველა ადამიანისთვის უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა; უკიდურესი სიღარიბე ამჟამად იზომება იმ ადამიანების მიხედვით, რომლებიც ცხოვრობენ დღეში <b>1.25 აშშ დოლარზე</b> ნაკლები თანხით	1.1 2030 წლისთვის საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა; უკიდურესი სიღარიბე ამჟამად იზომება იმ ადამიანების მიხედვით, რომლებიც ცხოვრობენ დღეში <b>1.9 აშშ დოლარზე</b> ნაკლები თანხით	1.1.1: სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის, ასაკის, დასაქმების მდგომარეობის და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით	1.1.1: სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს <b>(1.9 აშშ დოლარი დღეში)</b> ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა = (< 1 %)	1.1.1 უკიდურესი სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა: <b>2015 წელი - 3.8%</b>	მსოფლიო ბანკი <a href="https://data.worldbank.org/indicator/SI.POV.DDAY?locations=GE">https://data.worldbank.org/indicator/SI.POV.DDAY?locations=GE</a>	საქართველოს მთავრობა
1.2 2030 წლისთვის ნებისმიერი ფორმით სიღარიბეში მცხოვრები ყველა ასაკის მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების პროპორციული ოდენობის სულ მცირე განახევრება, ქვეყანაში დადგენილი განმარტებების შესაბამისად	1.2 2030 წლისთვის ნებისმიერი ფორმით სიღარიბეში მცხოვრები ყველა ასაკის მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების პროპორციული ოდენობის შემცირება, ქვეყანაში დადგენილი განმარტებების შესაბამისად	1.2.1: სიღარიბის ეროვნულ ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, სქესისა და ასაკის მიხედვით	1.2.1: სიღარიბის ეროვნულ ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა ქალაქი/სოფელი, ასაკობრივი ჯგუფისა და სქესის მიხედვით: <b>შემცირდება 20%-ით</b>	1.2.1 <b>2015 წელი:</b> საქართველო - <b>21.6%</b> ქალაქი - <b>18%</b> სოფელი - <b>26.4%</b> ასაკობრივი ჯგუფები: <b>0-17 წ - 24.2%, 18-64წ. - 22%, 65წ და ზემოთ - 16.4%</b> ქალი - <b>21.3%</b> მამაკაცი - <b>22%</b>	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)	
1.3 ყველა ადამიანისთვის განხორციელდეს შესაფერისი სოციალური დაცვის სისტემები და ზომები, მათ შორის მინიმალური ნორმები და 2030 წლისთვის მიღწეული იქნეს დარიბი და მოწყვლადი ადამიანების არსებითი დაფარვა	1.3 მიღებულ იქნას შესაფერისი ეროვნული ზომები, რათა 2030 წლისთვის მიღწეული იქნეს დარიბი და მოწყვლადი ადამიანების არსებითი დაფარვა	1.3.1: სოციალური დაცვის მინიმალური ნორმებით/სისტემებით დაფარული მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის მიხედვით; ბავშვების, უმუშევრების, ხანდაზმულების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ორსული ქალების, ახალშობილების, საწარმოო ტრავმების მსხვერპლებისა და დარიბი და მოწყვლადი ადამიანების საზგასმით	1.3.1. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული: ა) საარსებო შემწეობის მიმღები პირები ბ) სოციალური პაკეტის (გარდა საარსებო შემწეობისა) მიმღები პირები გ) ასაკობრივი პენსიის (გარდა საარსებო შემწეობისა) მიმღები პირები	1.3.1. <b>2015 წელი:</b> - „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული და ამავდროულად ფულადი სოციალური დახმარების - „საარსებო შემწეობის“ მიმღებია <b>389 650 პირი.</b> - „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული (არ არის „საარსებო შემწეობის“ მიმღები) და ამავდროულად, სოციალური პაკეტის მიმღებია <b>57 326 პირი.</b> - „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული (არ არის „საარსებო შემწეობის“ მიმღები) და ამავდროულად, სახელმწიფო პენსიის მიმღებია <b>250 230 პირი.</b> <b>1. მიზნობრივი სოციალური დახმარება: 8.2%</b> (გარდა სოციალური პაკეტის მიმღებების და პენსიონრებისა) ბავშვები: <b>36.5%</b> ქალები: <b>54.3%</b> <b>2. სოციალური პაკეტი: 4.5%</b> ბავშვები: <b>20.3%</b> ქალები: <b>37.4%</b> <b>3. პენსიები: 19.7%</b> ქალები: <b>71%</b>	სოციალური მომსახურების სააგენტო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
1.4 2030 წლისთვის უზრუნველყოფილი იქნას, რომ ყველა მამაკაცსა და ქალს, განსაკუთრებით სიღარიბეში მყოფ და მოწყვლად პირებს, ჰქონდეთ თანასწორი უფლებები ეკონომიკურ რესურსებთან მიმართებაში, ასევე უზრუნველყოფილი იქნას საბაზისო მომსახურებებზე მათი ხელმისაწვდომობა - მიწისა და	1.4 2030 წლისთვის უზრუნველყოფილი იქნას, რომ ყველა მამაკაცსა და ქალს, განსაკუთრებით სიღარიბეში მყოფ და მოწყვლად პირებს, მათ შორის იძულებით გადაადგილებულ პირებს, ჰქონდეთ თანასწორი უფლებები ეკონომიკურ რესურსებთან მიმართებაში. ასევე მათთვის უზრუნველყოფილი იქნას ხელმისაწვდომობა საბაზისო	1.4.1: იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელსაც ხელი მიუწვდება ძირითად მომსახურებებზე	1.4.1: იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობის ზრდა, რომელსაც ხელი მიუწვდება ძირითად მომსახურებებზე, მათ შორის: ა) ელექტროენერგიაზე (100%); ბ) წყალმომარაგების ქსელით მომსახურებაზე; გ) წყალარინების ქსელით მომსახურებაზე.	1.4.1: <b>2015 წელს</b> მინამეურნეობათა: ა) დაახლოებით <b>99%-ისთვის</b> ხელმისაწვდომია ელექტროენერგია ბ) წყალმომარაგების ქსელით მომსახურებაზე - <b>56%</b> გ) წყალარინების ქსელით მომსახურებაზე - <b>50.67%</b>	საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია	საქართველოს მთავრობა



<p>კლიენტის სხვა ფორმების მფლობელობასა და მართვაზე, მემკვიდრეობაზე, ბუნებრივ რესურსებზე, სათანადო უახლეს ტექნოლოგიებსა და ფინანსურ სერვისებზე, მათ შორის მიკროსაფინანსო მომსახურებაზე</p>	<p>სოსხელოვნება, სოფლის და კოოპერატივის სხვა ფორმების მფლობელობასა და მართვაზე, მემკვიდრეობაზე, ბუნებრივ რესურსებზე, სათანადო უახლეს ტექნოლოგიებსა და ფინანსურ სერვისებზე, მათ შორის მიკროსაფინანსო მომსახურებაზე</p>	<p>1.4.2: იმ ზრდასრული მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის და საკუთრების ტიპის მიხედვით, რომელსაც აურიდიულად დადასტურებული დოკუმენტაციით აქვს მიწის ქონის უფლება და დაცულად აღიქვამს ამ უფლებას</p>	<p>1.4.2.1: იმ ზრდასრული მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის მიხედვით, რომელსაც საჯარო რეესტრში რეგისტრირებული აქვს მიწაზე საკუთრების უფლება: - მიწის შესაკურთხეა მინიმუმ 80%-ს ექნება მიწა დარეგისტრირებული და მიწის ქალი შესაკურთხეების რაოდენობა გაიზრდება 10-15 %-ით</p>	<p>1.4.2.1. 2015 წელს: ზრდასრული მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომლებსაც საჯარო რეესტრში რეგისტრირებული აქვთ მიწაზე საკუთრების უფლება - დაახლოებით 50%; დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების შესაკურთხეები 35%-ის შესაკურთხეები ქალები არიან.  *შენიშვნა: მიწის რეგისტრაცია სავალდებულო არ არის საქართველოს კანონმდებლობით და იურიდიული დოკუმენტების შექმნა ადამიანები მფლობელებად მიიჩნევიან, თუმცა ოფიციალური რეგისტრაციის გარეშე მათ არ შეუძლიათ მიწის გამოყენება სხვა მიზნებისთვის, მაგალითად, სესხის უზრუნველსაყოფად</p>	<p>საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო</p>	
		<p>1.4.2.2: გრძელვადიანი განსახლებით უზრუნველყოფილი დევნილი ოჯახების რაოდენობა <b>სამიწე: 50, 000</b></p>		<p>1.4.2.2: გრძელვადიანი განსახლებით უზრუნველყოფილი დევნილი ოჯახების რაოდენობა <b>საბაზისო: 2014 წელი: 32,523</b></p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>
<p>1.5. 2030 წლისთვის ღარიბი და მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ამტანობისა და რთული ვითარებიდან გამოსვლის შესაძლებლობების გაზრდა; ასევე მათი დაუცველობისა და მოწყვლადობის შემცირება კლიმატთან დაკავშირებული ექსტრემალური მოვლენებისა და სხვა ეკონომიკური, სოციალური და გარემოსთან დაკავშირებული მოკვების და კატასტროფების მიმართ</p>	<p>1.5. კლიმატთან დაკავშირებული ექსტრემალური შემთხვევების და გარემოსთან დაკავშირებული სტრესებისა და კატასტროფების პროგნოზირების და ადრეული გაფრთხილების უზრუნველყოფა</p>	<p>1.5.1: სიკვდილიანობის, დაკარგული და კატასტროფის შედეგად დაზარალებული ადამიანების რაოდენობა <b>100,000 მოსახლეზე</b></p>	<p>1.5.1: სიკვდილიანობის, დაკარგული და კატასტროფის შედეგად დაზარალებული ადამიანების რაოდენობა <b>100,000 მოსახლეზე</b></p>	<p>1.5.1 <b>2017 წელს:</b> - კატასტროფებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი <b>100,000 მოსახლეზე: 0.2147</b> - კატასტროფებით გამოწვეული დაკარგული ადამიანების მაჩვენებელი <b>100,000 მოსახლეზე: 0</b>  *აღნიშნული სტატისტიკა წარმოადგენს ერთეულ დაფიქსირებულ შემთხვევებს</p>	<p>სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს აპარატი</p>	<p>სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს აპარატი</p>
		<p>1.5.2: კატასტროფების შედეგად მიღებული პირდაპირი ეკონომიკური ზარალი გლობალურ მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებაში</p>	<p>1.5.2: კატასტროფების შედეგად მიღებული პირდაპირი ეკონომიკური ზარალი გლობალურ მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებაში</p>	<p>1.5.2. ინდიკატორის გაზომვა დაიწყება, მას შემდეგ რაც შემუშავდება კატასტროფებით გამოწვეული ზიანისა და ზარალის შეფასების მეთოდოლოგია. ამჟამად ქვეყანაში მიმდინარეობს მუშაობა ამ მეთოდოლოგიის შემუშავებაზე</p>	<p>მსს /სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური</p>	<p>სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს აპარატი</p>
		<p>1.5.3: იმ ქვეყნების რაოდენობა, რომელთაც მიიღეს და ახორციელებენ კატასტროფების რისკის შემცირების ეროვნულ სტრატეგიებს სენდაის ჩარჩოს დოკუმენტის შესაბამისად</p>	<p>1.5.3. კატასტროფების რისკის შემცირების <b>სენდაის ჩარჩო-დოკუმენტის (2015-2030)</b> შესაბამისი ეროვნული სტრატეგიის არსებობა და მისი განხორციელება</p>	<p>1.5.3 საქართველოს რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა <b>სენდაის ჩარჩო დოკუმენტის</b> შესაბამისად <b>2015 წლის</b> მდგომარეობით დამტკიცებული არ იყო</p>	<p>სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს აპარატი</p>	<p>სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს აპარატი</p>
		<p>1.5.4: ადგილობრივი თვითმმართველობების პროპორციული რაოდენობა, რომლებსაც ეროვნული რისკის შემცირების სტრატეგიის შესაბამისად, მიღებული აქვთ და ახორციელებენ ადგილობრივი კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგიებს.</p>	<p>1.5.4. მუნიციპალიტეტების პროცენტული ოდენობა, რომლებსაც აქვთ და ახორციელებენ კატასტროფების რისკის შემცირების ადგილობრივი სტრატეგიებს, ეროვნული რისკის შემცირების სტრატეგიის შესაბამისად</p>	<p>1.5.4. <b>2015 წელი: 0</b></p>	<p>მსს /სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური</p>	<p>სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს აპარატი</p>
<p>1.ა. სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის განვითარების სფეროში გაფართოებული თანამშრომლობის მეშვეობით, რესურსების მნიშვნელოვანი მობილიზების</p>	<p>1.ა. სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის განვითარების სფეროში გაძლიერებული თანამშრომლობის მეშვეობით, რესურსების მნიშვნელოვანი მობილიზების უზრუნველყოფა</p>	<p>1.ა.1: მთავრობის მიერ უშუალოდ სიღარიბის შემცირებისკენ მიმართული პროგრამებისთვის გამოყოფილი რესურსების პროპორციული ოდენობა</p>	<p>1.ა.1: მთავრობის მიერ უშუალოდ სიღარიბის შემცირებისკენ მიმართული პროგრამებისთვის გამოყოფილი რესურსების პროპორციული ოდენობა</p>	<p>1.ა.1 ინდიკატორი მიეკუთვნება III ჯგუფს (TIER III), რომლის დათვლის მეთოდოლოგიაც ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული გაეროს სტატისტიკური კომისიის სააგენტოთაშორის და საექსპერტო ჯგუფის მიერ (Inter-agency and Expert Group on SDG Indicators)</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p>

<p>ეთიოპიის ეკონომიკის განვითარებით ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების განვითარებისთვის ადვოკატური და პროგრამების საშუალებების უზრუნველყოფა და პროგრამებისა და სხვადასხვა პოლიტიკის განსახორციელებლად სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით</p>	<p>საქართველოს სტრატეგიული განვითარებისთვის და სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით პროგრამებისა და პოლიტიკის განსახორციელებლად</p>	<p>1.ა.2: ძირითად სერვისებზე (განათლება, ჯანდაცვა და სოციალური დაცვა) მთავრობის მთლიანი ხარჯვის პროპორციული ოდენობა</p>	<p>1.ა.2: ძირითად სერვისებზე (განათლება, ჯანდაცვა და სოციალური დაცვა) მთავრობის მთლიანი ხარჯვის პროპორციული ოდენობა</p>	<p>1.ა.2 მთავრობის მთლიანი ხარჯვის პროპორციული ოდენობა: - <b>განათლება: 2015 წელი: 11.1%;</b> - <b>ჯანდაცვა: 2015 წელი: 9.4%;</b> - <b>სოციალურ დაცვა: 2015 წელი: 25.5%;</b></p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p>	
--	---	---	---	--	--	--

**2. მიმზღველი ადმინისტრაცია, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა**

<p>2.2 2030 წლისთვის არასაკმარისი კვების ყველა ფორმის აღმოფხვრა, მათ შორის, 5 წლამდე ასაკის ბავშვებში არასაკმარისი ზრდისა და სისუსტის მხრივ, 2025 წლისთვის საერთაშორისოდ მეთანხმებული მიზნების მიღწევა; მოზარდი გოგონების, ორსულების, ლაქტაციის პროცესში მყოფი ქალებისა და მოზუცებულების საკვები საჭიროებების უზრუნველყოფა</p>	<p>2.2 2030 წლისთვის არასაკმარისი კვების ყველა ფორმის აღმოფხვრა, მათ შორის, 5 წლამდე ასაკის ბავშვებში არასაკმარისი ზრდისა და სისუსტის მხრივ, 2025 წლისთვის საერთაშორისოდ მეთანხმებული მიზნების მიღწევა; მოზარდი გოგონების, ორსულების, ლაქტაციის პროცესში მყოფი ქალებისა და მოზუცებულების საკვები საჭიროებების უზრუნველყოფა</p>	<p>2.2.1 არასაკმარისი ზრდის გავრცელება (ასაკისთვის შესაფერისი სიმაღლე &lt;-2 სტანდარტული გადახრა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბავშვის ზრდის სტანდარტების საშუალო მაჩვენებელიდან), 5 წლამდე ასაკის ბავშვებში</p>	<p>2.2.1 არასაკმარისი ზრდის გავრცელება (ასაკისთვის შესაფერისი სიმაღლე &lt;-2 სტანდარტული გადახრა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბავშვის ზრდის სტანდარტების საშუალო მაჩვენებელიდან), 5 წლამდე ასაკის ბავშვებში</p>	<p>2.2.1. საბაზისო ინდიკატორზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება MICS კვლევიდან. კვლევის შედეგებს საქსტატი 2019 წლის ბოლოს გამოაქვეყნებს</p>	<p>საქართველოს მრავალ-კლასტერული ინდიკატორული კვლევა (MICS)</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p>
		<p>2.2.2 არასაკმარისი კვების გავრცელება (სიმაღლის შესაბამისი წონა &gt;+2 ან &lt;-2 სტანდარტული გადახრა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბავშვის ზრდის სტანდარტების საშუალო მაჩვენებელიდან), 5 წლამდე ასაკის ბავშვებში, სახეობის მიხედვით (წონის ნაკლებობა და ჭარბწონიანობა)</p>	<p>2.2.2 არასაკმარისი კვების გავრცელება (სიმაღლის შესაბამისი წონა &gt;+2 ან &lt;-2 სტანდარტული გადახრა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბავშვის ზრდის სტანდარტების საშუალო მაჩვენებელიდან), 5 წლამდე ასაკის ბავშვებში, სახეობის მიხედვით (წონის ნაკლებობა და ჭარბწონიანობა)</p>	<p>2.2.2. საბაზისო ინდიკატორზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება MICS კვლევიდან. კვლევის შედეგებს საქსტატი 2019 წლის ბოლოს გამოაქვეყნებს</p>	<p>საქართველოს მრავალ-კლასტერული ინდიკატორული კვლევა (MICS)</p>	

<p>2.3 2030 წლისთვის სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის და სურსათის მცირე მწარმოებლების, კერძოდ, ქალების, კერძოდ, ქალების, მკვიდრი მოსახლეობის, საოჯახო ფერმერების, მშენებლების და მეთევზეების შემოსავლების გაზრდა. მათ შორის, მიწაზე და სხვა პროდუქტიულ რესურსებზე და საშუალებებზე, ცოდნაზე, ფინანსურ მომსახურებაზე, ბაზრებზე, დამატებითი დირექტორული მენეჯერების შექმნის და არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმების შესაძლებლობებზე უსაფრთხო და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მეშვეობით</p>	<p>2.3 2030 წლისთვის სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის და სურსათის მცირე მწარმოებლების, კერძოდ, ქალების, საოჯახო ფერმერების და მეთევზეების შემოსავლების გაზრდა. მათ შორის, მიწაზე და სხვა პროდუქტიულ რესურსებზე და საშუალებებზე, ცოდნაზე, ფინანსურ მომსახურებაზე, ბაზრებზე, დამატებითი დირექტორული მენეჯერების შექმნის და არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმების შესაძლებლობებზე უსაფრთხო და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მეშვეობით</p>	<p>2.3.1: წარმოების მოცულობა შრომის დანახარჯის ერთეულზე ფერმერული/მცხოვრებლების/სატყეო საწარმოების ზომის კლასების მიხედვით</p>	<p>2.3.1: წარმოების მოცულობა შრომის დანახარჯის ერთეულზე ფერმერული/მცხოვრებლების/სატყეო საწარმოების ზომის კლასების მიხედვით</p>	<p>2.3.1 ინდიკატორი მიეკუთვნება II ჯგუფს (TIER II), რომლის საბაზისო მონაცემები გაიზომება 2020 წლისთვის</p>	<p>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>
		<p>2.3.1.1: ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებმაც ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში განახორციელეს ინვესტიციები სოფლის მეურნეობის სექტორში სამიწე: <b>2020 წლისთვის 1290 ბენეფიციარი</b></p>	<p>2.3.1.1: ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებმაც ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში განახორციელეს ინვესტიციები სოფლის მეურნეობის სექტორში სამიწე: <b>2020 წლისთვის 1290 ბენეფიციარი</b></p>	<p>2.3.1.1 <b>2016 წელი - 519 ბენეფიციარი;</b></p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>	
		<p>2.3.2: სურსათის მცირე მწარმოებელთა საშუალო შემოსავალი სქესისა და ადგილობრივი მკვიდრის სტატუსის მიხედვით</p>	<p>2.3.2: სურსათის მცირე მწარმოებელთა საშუალო შემოსავალი სქესის მიხედვით</p>	<p>2.3.2 ინდიკატორი მიეკუთვნება II ჯგუფს (TIER II), რომლის საბაზისო მონაცემები გაიზომება 2020 წლისთვის</p>	<p>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)</p>	
		<p>2.3.2.1 სოფლის მოსახლეობის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი დასაქმებიდან ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან, განგარიშებული ერთ მინამეურნეობაზე</p>	<p>2.3.2.1 სოფლის მოსახლეობის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი დასაქმებიდან ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან, განგარიშებული ერთ მინამეურნეობაზე</p>	<p>2.3.2.1 <b>2015 წელი - 392 ლარი</b></p>	<p>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>

<p>2.4 2030 წლისათვის სურსათის წარმოების მდგრადი სისტემების უზრუნველყოფა და სიცოცხლისუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვა, რომელიც გაზრდის პროდუქტიულობას და წარმოების მოცულობას, ხელს შეუწყობს ეკოსისტემების შენარჩუნებას, რაც გააძლიერებს კლიმატის ცვლილებასთან, ექსტრემალურ ამინდთან, გვალვასთან, წყალდიდობასთან, ადამიანის და სხვა სახის კატაკლიზმებთან ადაპტირების უნარს და თანდათანობით გააუმჯობესებს მიწის ნაკვეთებისა და ნიადაგის ხარისხს</p>	<p>2.4 2030 წლისათვის სურსათის წარმოების მდგრადი სისტემების უზრუნველყოფა და სიცოცხლისუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვა, რომელიც გაზრდის პროდუქტიულობას და წარმოების მოცულობას; ხელს შეუწყობს ეკოსისტემების შენარჩუნებას, რაც გააძლიერებს კლიმატის ცვლილებასთან, ექსტრემალურ ამინდთან, გვალვასთან, წყალდიდობასთან, ადამიანის და სხვა სახის კატაკლიზმებთან ადაპტირების უნარს და თანდათანობით გააუმჯობესებს მიწის ნაკვეთებისა და ნიადაგის ხარისხს</p>	<p>2.4.1: იმ სასოფლო-სამეურნეო მიწის პროპორციული ოდენობა, რომელზეც წარმოებს პროდუქტიული და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა</p>	<p>2.4.1: იმ სასოფლო-სამეურნეო მიწის პროპორციული ოდენობა, რომელზეც წარმოებს პროდუქტიული და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა</p> <p>2.4.1.1 ჰიდრომელიორირებული მიწის ფართობი: <b>2016 წელი: 164 881 ჰა</b></p>	<p>2.4.1 ინდიკატორი მიკუთვნება II ჯგუფს (TIER II), რომლის საბაზისო მონაცემები გაიზომება 2020 წლისთვის</p> <p>2.4.1.1 <b>2016 წელი: 143 375 ჰა</b></p>	<p>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)</p> <p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>
<p>2.5 2020 წლისთვის თესვების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ფერმისა და შინაური ცხოველების და მათი მონათესავე ველური სახეობების გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნება, მათ შორის კარგად მართული და დივერსიფიცირებული სათესლე და მცენარეთა ბანკების საშუალებით სახელმწიფო, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე, აგრეთვე გენეტიკური რესურსების და ამასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის გამოყენებით მიღებული საარგებლის ხელმისაწვდომობის და სამართლიანი და თანაბარი გაზიარების უზრუნველყოფა, როგორც ეს საერთაშორისო დონეზე იქნა შეთანხმებული</p>	<p>2.5 2020 წლისთვის თესვების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ფერმისა და შინაური ცხოველების და მათი მონათესავე ველური სახეობების გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნება; მათ შორის კარგად მართული და დივერსიფიცირებული სათესლე და მცენარეთა ბანკების საშუალებით სახელმწიფო დონეზე, აგრეთვე გენეტიკური რესურსების და ამასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის გამოყენებით მიღებული საარგებლის ხელმისაწვდომობის და სამართლიანი და თანაბარი გაზიარების უზრუნველყოფა, როგორც ეს საერთაშორისო დონეზე იქნა შეთანხმებული</p>	<p>2.5.1: საშუალოაღიანი ან გრძელვადიანი საკონსერვაციო ობიექტებზე დაცული მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური რესურსების ოდენობა საკვებისა და სოფლის მეურნეობისათვის</p> <p>სამიზნე: <b>2025 წელი - შევასდება გენეტიკური რესურსების 50-60%</b></p> <p>2.5.2. გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფად, არა საფრთხის ქვეშ მყოფად ან უცნობი ხარისხის საფრთხის ქვეშ მყოფად კლასიფიცირებული ადგილობრივი ჯიშების პროპორციული ოდენობა</p>	<p>2.5.1: საშუალოაღიანი ან გრძელვადიანი საკონსერვაციო ობიექტებზე დაცული მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური რესურსების ოდენობა საკვებისა და სოფლის მეურნეობისათვის</p> <p>სამიზნე: <b>2025 წელი - შევასდება გენეტიკური რესურსების 50-60%</b></p> <p>2.5.2. გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფად, არა საფრთხის ქვეშ მყოფად ან უცნობი ხარისხის საფრთხის ქვეშ მყოფად კლასიფიცირებული ადგილობრივი ჯიშების პროპორციული ოდენობა</p>	<p>2.5.1 <b>2018 წელი:</b> 3444 ნიმუში - მცენარეთა გენეტიკური რესურსი (არასრული)  1227 ნიმუში - ცხოველთა გენეტიკური რესურსი (არასრული)</p> <p>2.5.2 საბაზისო მონაცემი ხელმისაწვდომი იქნება 2020 წლისთვის</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p> <p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>
<p>2.ა სოფლის ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის კვლევის და საკონსულტაციო მომსახურების, ტექნოლოგიების განვითარების და მცენარეებისა და მსხვილფეხა საქონლის გენეტიკურ ბანკებთან დაკავშირებით ინვესტიციების ზრდა, მათ შორის ინტენსიური საერთაშორისო თანამშრომლობის გზით, განვითარებად, განსაკუთრებით ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდის მიზნით</p>	<p>2.ა სოფლის ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის კვლევის და საკონსულტაციო მომსახურების, ტექნოლოგიების განვითარების და მცენარეებისა და მსხვილფეხა საქონლის გენეტიკურ ბანკებთან დაკავშირებით ინვესტიციების ზრდა, მათ შორის ინტენსიური საერთაშორისო თანამშრომლობის გზით, განვითარებად, განსაკუთრებით ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდის მიზნით</p>	<p>2.ა.1: სოფლის მეურნეობის საორიენტაციო მარჩვენებელი მთავრობის ხარჯებისათვის</p> <p>2.ა.2: სოფლის მეურნეობის სექტორში მიმართული მთლიანი ოფიციალური სახსრები (ოფიციალური საერთაშორისო დანხმებებისა და სხვა ოფიციალური თანხების ჩათვლით)</p>	<p>2.ა.1 სოფლის მეურნეობის საორიენტაციო მარჩვენებელი მთავრობის ხარჯებისათვის <b>(0.25)</b></p> <p>2.ა.2: სოფლის მეურნეობის სექტორში მიმართული მთლიანი ოფიციალური სახსრები (ოფიციალური საერთაშორისო დანხმებებისა და სხვა ოფიციალური თანხების ჩათვლით)</p>	<p>2.ა.1. <b>2015 წელი: 0.27</b></p> <p>2.ა.2 საბაზისო მონაცემი ხელმისაწვდომი იქნება 2020 წლისთვის</p>	<p>მონაცემთა წყარო დაზუსტდება</p> <p>-</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>

<p>2.გ. ისეთი ზომების მიღება, რაც უზრუნველყოფს სურსათის სასაქონლო ბაზრებისა და მათი პროდუქციის გამართულ ფუნქციონირებას და ხელს შეუწყობს დროულ წვდომას საბაზრო ინფორმაციაზე, მათ შორის ინფორმაციაზე სურსათის რეზერვების შესახებ, იმ მიზნით, რომ შეიზღუდოს სურსათზე ფასის უკიდურესი არასტაბილურობა.</p>	<p>2.გ. ისეთი ზომების მიღება, რაც უზრუნველყოფს სურსათის სასაქონლო ბაზრებისა და მათი პროდუქციის გამართულ ფუნქციონირებას და ხელს შეუწყობს დროულ წვდომას საბაზრო ინფორმაციაზე, მათ შორის ინფორმაციაზე სურსათის რეზერვების შესახებ, იმ მიზნით, რომ შეიზღუდოს სურსათზე ფასის უკიდურესი არასტაბილურობა.</p>	<p>2.გ.1: სურსათის ფასების ანომალიის ინდიკატორი</p>	<p>2.გ.1: სურსათის ფასების ანომალიის ინდიკატორი</p>	<p>2.გ.1. <b>2015 წელი</b></p> <p>საქონლის ხორცი: <b>-0.71</b></p> <p>პური: <b>-0.38</b></p> <p>ქათმის ხორცი: <b>0.25</b></p> <p>რძის პროდუქტი: <b>0.55</b></p> <p>ღორის ხორცი: <b>-0.14</b></p> <p>კარტოფილი: <b>-0.45</b></p> <p>ხორბალი: <b>-0.08</b></p>	<p>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p>
<p><b>მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის</b></p>						
<p>3.1 2030 წლისათვის დედათა სიკვდილიანობის გლობალური მაჩვენებლის შემცირება <b>70 შემთხვევაზე ნაკლებ მაჩვენებლამდე, 100,000 ცოცხალშობილ ბავშვზე</b></p>	<p>3.1 2030 წლისათვის საქართველოში დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება სულ მცირე <b>12 შემთხვევაამდე, 100,000 ცოცხალშობილ ბავშვზე</b></p>	<p>3.1.1: დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი</p> <p>3.1.2: ჯანდაცვის კვალიფიციური პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობათა ხვედრითი წილი</p>	<p>3.1.1: დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი: <b>სამიზნე: 12 შემთხვევა 100,000 ცოცხალშობილ ბავშვზე</b></p> <p>3.1.2: კვალიფიციური ჯანდაცვის პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობათა ხვედრითი წილი: <b>100%</b></p>	<p>3.1.1 დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი: <b>2015 წელი: 32 შემთხვევა 100,000 ცოცხალშობილზე</b></p> <p>3.1.2: კვალიფიციური ჯანდაცვის პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობათა ხვედრითი წილი: <b>2015 წელი: 100%</b></p>	<p>NCDC დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი</p> <p>NCDC დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი</p>	
<p>3.2 2030 წლისათვის ახალშობილთა და 5 წლამდე ბავშვთა პრევენციონობის სიკვდილიანობის აღმოფხვრა; ყველა ქვეყანამ მიზნად უნდა დაისახოს ნეონატალური სიკვდილიანობის შემცირება სულ მცირე <b>12-მდე, 1000 ცოცხალშობილ ბავშვზე</b> და 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება სულ მცირე <b>25-მდე, 1000 ცოცხალშობილ ბავშვზე</b></p>	<p>3.2 2030 წლისათვის ახალშობილთა და 5 წლამდე ბავშვთა პრევენციონობის სიკვდილიანობის აღმოფხვრა; საქართველოში მიზნად უნდა დაისახოს ნეონატალური სიკვდილიანობის შემცირება სულ მცირე <b>5-მდე, 1000 ცოცხალშობილ ბავშვზე</b> და 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება სულ მცირე <b>6-მდე, 1000 ცოცხალშობილ ბავშვზე</b></p>	<p>3.2.1: 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი</p> <p>3.2.2: ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი</p>	<p>3.2.1: 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი: <b>სამიზნე: 6, 1000 ცოცხალშობილ ბავშვზე</b></p> <p>3.2.2: ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი: <b>სამიზნე: 5, 1000 ცოცხალშობილ ბავშვზე</b></p>	<p>3.2.1 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი: <b>2015 წელი: 10.2, 1000 ცოცხალშობილ ბავშვზე</b></p> <p>3.2.2 ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი: <b>2015 წელი: 6.1, 1000 ცოცხალშობილ ბავშვზე</b></p>	<p>NCDC დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი</p> <p>NCDC დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი</p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოც.დაცვის სამინისტრო</p>
<p>3.3 2030 წლისათვის შიდსის ეპიდემიის, ტუბერკულოზის, მალარიისა და აღმოცენებული ტროპიკული დაავადებების აღმოფხვრა და კეპატიტთან, წყლით გადამდებ და სხვა ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლა</p>	<p>3.3 2030 წლისათვის შიდს-ის ეპიდემიის და ტუბერკულოზის აღმოფხვრა და კეპატიტთან, წყლით გადამდებ და სხვა ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლა</p>	<p>3.3.1: აივ-ით ინფიცირების ახალი შემთხვევების რაოდენობა <b>1000 არაინფიცირებულ მოსახლეზე, სქესის, ასაკისა და რისკჯგუფების მიხედვით</b></p> <p>3.3.2: ტუბერკულოზის ინციდენტობა <b>100,000 მოსახლეზე</b></p>	<p>3.3.1. აივ-ით ინფიცირების ახალი შემთხვევების რაოდენობა <b>1000</b> მოსახლეზე, სქესისა და ასაკის მიხედვით: <b>სამიზნე: 0.125</b></p> <p>3.3.2: ტუბერკულოზის ინციდენტობა <b>100,000 მოსახლეზე: სამიზნე: 15</b></p>	<p>3.3.1 აივ-ის ინციდენტობა: <b>2015 წელი: 0.192 შემთხვევა 1,000 მოსახლეზე</b></p> <p>- <b>მამაკაცები - 0.31;</b></p> <p>- <b>ქალები - 0.88</b></p> <p>- <b>0-14 - 0.009</b></p> <p>- <b>5-24 - 0.164</b></p> <p>- <b>5 და ზემოთ - 0.28</b></p> <p>3.3.2 <b>2015 წელი: 75</b></p>	<p>NCDC დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი</p> <p>NCDC დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი</p>	

		3.3.2.1 პენიტენციურ დაწესებულებებში ტუბერკულოზის შემთხვევათა გავრცელების მაჩვენებელი: <b>სამიზნე: 100-ზე ნაკლები 10,000 პატიმარზე; ტუბერკულოზის ახლად რეგისტრირებულ შემთხვევათა მაჩვენებელი სტაბილიზებულია ან შემცირებულია ან &lt;= 55 შემთხვევაზე 10,000 პატიმარზე</b>	3.3.2.1 <b>2015 წელი:</b> პენიტენციურ დაწესებულებებში ტუბერკულოზის შემთხვევათა გავრცელების მაჩვენებელი: <b>- 114 შემთხვევა 10,000 პატიმარზე;</b>  ტუბერკულოზის ახლად რეგისტრირებულ შემთხვევათა მაჩვენებელი - <b>50 შემთხვევა 10,000 პატიმარზე</b>	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სპეციალური პენიტენციური სამსახური	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სპეციალური პენიტენციური სამსახური
	3.3.3: მალარიის ინციდენტობა <b>1000 მოსახლეზე</b>	3.3.3: მალარიის ინციდენტობა 1000 მოსახლეზე: <b>სამიზნე: მიღწეული დონის შენარჩუნება</b>	3.3.3: მალარიის ინციდენტობა: <b>2015 წელი: 0 შემთხვევა</b>	NCDC დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
	3.3.4: B ჰეპატიტის ინციდენტობა <b>100,000 მოსახლეზე</b>	3.3.4: B ჰეპატიტის ინციდენტობა <b>100,000 მოსახლეზე შემცირებულია 50%-ით</b>	3.3.4: B ჰეპატიტის ინციდენტობა <b>2015 წელი: 37.1 შემთხვევა 100,000 მოსახლეზე</b>	NCDC დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	
		3.3.4.1. C ჰეპატიტის ინციდენტობა <b>100,000 მოსახლეზე</b>	3.3.4.1. C ჰეპატიტის ინციდენტობა <b>2014 წელი - 71.0 შემთხვევა 100,000 მოსახლეზე</b>	NCDC დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	
		3.3.4.2 C ჰეპატიტის მქონე პატიმართა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც გადიან მკურნალობას: <b>100%</b>	3.3.4.2 <b>2015 წელი: 3216 პატიმარს დაუდგინდა C ჰეპატიტის დიაგნოზი; მათგან 308 (9,5%) პატიმარმა გაიარა მკურნალობა</b>	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სპეციალური პენიტენციური სამსახური	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სპეციალური პენიტენციური სამსახური
	3.3.5: იმ ადამიანთა რაოდენობა, ვისაც სჭირდება ჩარევა აღმოცენებული ტროპიკული დაავადებების წინააღმდეგ	3.3.5: იმ ადამიანთა რაოდენობა, ვისაც სჭირდება ჩარევა აღმოცენებული ტროპიკული ინტერვენციები მაღალი რისკის მატარებელი მოსახლეობის ქვაკუთხედისთვის/გეოგრაფიული ადგილებისათვის	3.3.5: იმ ადამიანთა რაოდენობა, ვისაც სჭირდება ჩარევა აღმოცენებული ტროპიკული დაავადებების წინააღმდეგ: <b>2015 წელი, (შემოტანილი შემთხვევა) - 9;</b>  <b>* შენიშვნა: ინფორმაცია "მაღალი რისკის მატარებელი მოსახლეობის იდენტიფიცირებული ქვაკუთხედი/გეოგრაფიული ადგილები"-თ დისკრეტიზებული არ მოიპოვება</b>	NCDC დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	
		3.3.ბ.2 C ჰეპატიტის მქონე პატიმართა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც გადიან მკურნალობას: <b>100%</b>	3.3.ბ.2 <b>2015 წელი: 3216 პატიმარს დაუდგინდა C ჰეპატიტის დიაგნოზი; მათგან 709 (22%) პატიმარმა გაიარა მკურნალობა</b>	NCDC დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

<p>3.4 2030 წლისთვის, პრევენციისა და მკურნალობის მუშევრებით, არაინფექციური დაავადებების შედეგად ნაადრევი სიკვდილიანობის ერთი მესამედით შემცირება და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა</p>	<p>3.4 2030 წლისთვის, პრევენციისა და მკურნალობის მუშევრებით, არაგადამდები დაავადებების შედეგად ნაადრევი სიკვდილიანობის ერთი მესამედით შემცირება და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა</p>	<p>3.4.1: გულსისხლძარღვთა დაავადებასთან, კიბოსთან, დიაბეტთან ან ქრონიკულ რესპირატორულ დაავადებასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი</p>	<p>3.4.1: გულსისხლძარღვთა დაავადებასთან, კიბოსთან, დიაბეტთან და ფილტვების ქრონიკულ ობსტრუქციულ დაავადებასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი: <b>შემცირდება ერთი მესამედით</b></p>	<p>3.4.1: - <b>2016 წელს</b> გულსისხლძარღვთა დაავადების შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებელი: <b>301,9 შემთხვევა 100,000 მოსახლეზე</b>; - <b>2016 წელს</b> კიბოს შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებელი: <b>182.9 შემთხვევა 100,000 მოსახლეზე</b>; - <b>2016 წელს</b> დიაბეტის შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებელი: <b>18.5 შემთხვევა 100,000 მოსახლეზე</b>; - <b>2016 წელს</b> ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებელი: <b>5.4 შემთხვევა 100,000 მოსახლეზე</b></p>	<p>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)/NCDC დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი</p>	<p>დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>
		<p>3.4.2: სუიციდის შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებელი</p>	<p>3.4.2: სუიციდის შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებელი: <b>შემცირდება ერთი მესამედით</b></p>	<p>3.4.2: სუიციდის შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებელი: <b>2015 წელი: 5.0 შემთხვევა 100,000 მოსახლეზე</b></p>	<p>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)</p>	
<p>3.5 აკრძალული ნივთიერებების მოხმარების, მათ შორის ნარკოტიკული ნივთიერებებისა და ალკოჰოლის დამღუპველი მოხმარების პრევენციისა და მკურნალობის გაძლიერება</p>	<p>3.5 აკრძალული ნივთიერებების მოხმარების, მათ შორის ნარკოტიკული ნივთიერებებისა და ალკოჰოლის მოხმარების პრევენციისა და მკურნალობის გაძლიერება</p>	<p>3.5.1 აკრძალული ნივთიერებების მოხმარებლებთან დაკავშირებით ნივთიერებისა და ალკოჰოლის (ფარმაკოლოგიური, ფსიქოლოგიური და სარეაბილიტაციო სერვისების) მოცვა</p>	<p>3.5.1.1. ოპიოიდების ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი ადამიანების პროპორციული წილი ოპიოიდური ნარკოტიკების მთელი მოხმარებლებიდან: <b>60%</b></p>	<p>3.5.1.1. ოპიოიდების ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი ადამიანების პროპორციული წილი ოპიოიდური ნარკოტიკების მთელი მოხმარებლებიდან <b>15%-ის ტოლია</b> (ოპიოიდების ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი პაციენტების რაოდენობა <b>2015 წელს 3000-ია</b>, მაშინ, როცა ოპიოიდური ნარკოტიკების აქტიური მოხმარებლების საერთო შეფასებითი რაოდენობა <b>20,000</b>).</p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/ბიო-ქვევითი სამეთვალყურეო კვლევა საქართველოს შვიდ ქალაქში, კვლევის ანგარიში, 2015; საქართველოში ნარკოტიკების ინტრავენული მოხმარებლების რაოდენობის შეფასება; კვლევის ანგარიში, 2015</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p>
		<p>3.5.1 ალკოჰოლის მავნე მოხმარება, ეროვნული კონტექსტის შესაბამისადად თითოეულ მოსახლეზე (15 წლიდან ზევით) ერთი კალენდარული წლის განმავლობაში სუფთა ალკოჰოლის ლიტრებში</p>	<p>3.5.2.1. ალკოჰოლის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე (18 წლის და მეტი ასაკის) კალენდარული წლის განმავლობაში (სპირტი ლიტრებში): <b>შემცირდება 10%-ით</b></p>	<p>3.5.2.1. ალკოჰოლის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე (18 წლის და მეტი ასაკის) კალენდარული წლის განმავლობაში (სპირტი ლიტრებში) <b>2016 წელი: 9.8 ლ</b></p>	<p>კვლევა - "Global status report on alcohol and health 2018" <a href="https://www.who.int/ncds/surveillance/steps/georgia/en/">https://www.who.int/ncds/surveillance/steps/georgia/en/</a>  <a href="http://www.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=457e2e6a-6243-4287-ac83-2a9c09b92054">http://www.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=457e2e6a-6243-4287-ac83-2a9c09b92054</a></p>	

